“ქ თბილისში დ/დირომი, IV მიკრორაიონი დემეტრე თავდადებულის ქ.№56, ნაკვეთი 07/056. მრავალბინიანი საცხ. სახლის კონსტრუქციული ნაწილის

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

1.შენობის **კონსტრუქციული** ნაწილი **დამუშავებულია** შ.პ.ს. ”ელენ ჰაუსი”-ს მიერ 2019 წელს

* დირექტორი- შ. ქუთათელაძე
*არქიტექტორი –ვ.ჭელიძე
* კონსტრუქტორი - ა. კორტავა

2. საცხოვრებელი კომპლექსი შესდგება 3 ნაწილისაგან

ერთსართულიანი სასურსათო მაღაზია და ორი 10 და 11 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი ,რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისაგან სეისმური ნაკერით, მთელი ნაგებობა ეფუძვნება ერთიან –განუყოფელ რკინაბეტონის ფილას .

შენობის სიმაღლე + 0.000 ნიშნულის ზევით-36.9, ხოლო +0.00 ნიშნულის ქვემოთ-3.5მ + 0.000 -503.50.

შენობის გაბარიტებია ბლოკი „A„ „1-11„ ღერძებიში --- 59.0 მეტრი; „ა-დ„ ღერძებიში --- 17.6 მეტრი; 11 სართული.

ბლოკი „B„ „12-15„ ღერძებიში --- 17.6 მეტრი; „ე-ო„ ღერძებიში --- 51.2 მეტრი 10 სართული.

- მიწისზედა სართულების სიმაღლე h=3.15მეტრი,
-მიწისქვედა სართულების სიმაღლე h=2.85 მეტრი;

3. საამშენებლო ნორმების და წესების პნ 01.01.09-ის (სეისმომედეგი მშენებლობა) თანახმად კომპლექსის საამშენებლო უბანი (ქ. თბილისი) მდებარეობს ,სეისმური საშიშროების მიხედვით, 8 (რვა) ბალიან ზონაში.

4. პნ 01. 05.-08 პროექტირების ნორმების თანახმად ობიექტის მშენებლობის რაიონის (ქ. თბილისი. დიდი დიღომი) ძირითადი კლიმატური პირობებია:
-თოვლის ნორმატიული დატვირთვა -0.5კ.პ. (50კგძ/მ$^{2)}$
-ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15, წელიწადში ერთხელ
w- 85კ.პ (85კგძ/მ$^{2.)}$

5. კონსტრუქციულად კომპლექსის კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სივრცითი კარკასი ხისტი კვანძებით:

* საძირკვლის ფილა –h=100სმ, დაფუძვნებული თიხაზე:

- პირობითი საანგარისო წინაღობა R0-250 კპა(2.5კგძ/სმ2)

-სიმკვრივე p –1.93ძ/სმ2

-დეფორმაციის მოდული E-18.0 მპა 180კგძ/სმ2.

კარკასის მზიდი ელემენტები:

* სვეტები bXh 100X40: 80X40 :60X40: და 40X40სმ;

*სართულშუა გადახურვების ფილები h=18სმ

*სარდაფის კედლები-მონოლით .რკ.ბეტონის b-25სმ.

*ლიფტის შახტები და დიაფრაგმები –b-20 და 25სმ

* კიბეები –პანდუსის სისქე -18სმ

კარკასის შევსება და ტიხრები –თვითმზიდი მსუბუქი ბეტონის წვრილი ბლოკების წყობა , შესაბამისი ანტისეისმიური ღონისძიებებით (ბეტონის მარკა მ-75.ხსნარის მ-50)

* ყველა რკინაბეტონის კონსტრუქციებში მიღებულია b-25კლასის ბეტონი და არმატურა A-500. A -240 კლასის .

6. კომპლექსის შენობების მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის “Lira SAPR”- ის მიხედვით.

7. კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გამოჩნდა ქვემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები .

7- 1 ”კ ” მარკის კონსტრუქციული ნახაზების შტამპში უნდა იყოს შეტანილი იმ პირთა გვარები ვინც დაამუშავა და შეამოწმა ნახაზი, .ყველა ნახაზი უნდა იყოს ხელმოწერილი .

უნდა აღინიშნოს ,რომ ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები პროექტის ავტორების მიერ განხილულ იქნა და საპრექტო დოკუმენტაციაშესაბამისად გასწორებული.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმების და წესების, დაცვით სათანადო პროფესიონალურ **დონეზე,** შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური გადაწყვეტილებები სრულად აკმაყოფილებს , როგორც სტატიკურ დატვირთვაზე, ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე , ნაგებობის მდგრადობის საიმედოობის მოთხოვნებს .

პროექტს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ინჟინერ-კონსტრუქტორი **პ.მიქაძე**

სშ.პ.ს“არქსტუდია ნიაპი”-ს დირექტორი (ვ.ძაგანია)